DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

DWV-ს ახალი წევრები 2024 2
დაგეგმილი ღონისძიებები 3
ჩატარებული ღონისძიებები 4
წევრთა სიახლეები 8



თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ქეთევან მაღრაძე
ketevan.magradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP
Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

TEXTIMA EXPORT IMPORT GmbH

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როგორც საექსპორტო კომპანია, თანმიმდევრული გაგრძელება მაღალი ხარისხის მანქანების, სისტემებისა და აღჭურვილობის მარკეტინგისთვის, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე, განხორციელდა მენეჯმენტის შესყიდვის ფარგლებში.

Textima დაფუძნებულია ბერლინში კომპანიის დაარსების დღიდან. TEXTIMA არის მფლობელის მიერ მართული კომპანია და აქვს ფართო ბაზა 7 წარმომადგენლობითი ოფისით და 2 შვილობილი აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინასა და ბალტიისპირეთში.

პროდუქტებისა და სერვისების ასორტიმენტი მუდმივად ფართოვდება. ტექსტილის მანქანების გარდა, ახლა ასევე იყიდება მანქანები, სისტემები და აღჭურვილობა პლასტმასის დამუშავებაში, რეზინის ტექნოლოგიასა და ფარმაცევტულ საწარმოებში.

ფინანსური გადაწყვეტილებების მზარდი მოთხოვნის გამო, TEXTIMA წარმატებით ჩამოყალიბდა "შეფუთვის მოდელის" სპეციალისტად და გთავაზობთ სრულ ხაზებს შესაბამისი ფინანსური გადაწყვეტილებებით ყველა ინდუსტრიაში და მთელ მსოფლიოში.

ფილოსოფია

ჩვენ TEXTIMA-ში დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კვალიფიციური და ერთგული თანამშრომლები არიან წარმატებული თანამშრომლობის კაპიტალი ჩვენს მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. გრძელვადიანი და პარტნიორობაზე ორიენტირებული თანამშრომლობა ქმნის საფუძველს წარმატებული ერთობლივი მუშაობისთვის.

მომხმარებელი ჩვენი მოქმედებების ფოკუსია.

Textima Export Import GmbH

Frankfurter Allee 73 D
10247 Berlin
Postanschrift:
Postfach 35 07 44
10216 Berlin
+49 (30) 24 00 40
+49 (30) 24 00 41 80
textima@textima.de

DWV-Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ DWV-ს მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, 17 იანვარს, 18:00 საათიდან სქაი ბარში “*WEATHER REPORT*”.

მისამართი: სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსის 37-ე სართული, 37მ ილია ჭავჭავაძის გამზირი, 0179 თბილისი.

დატკბით ბარის შთამბეჭდავი ხედებითა და უგემრიელესი კერძებით, და, რა თქმა უნდა, ისიამოვნეთ ჩვენთან ნეთვორქინგით. სპეციალურად ჩვენი სტუმრებისთვის დაგვხვდება მენიუ 15%-იანი ფასდაკლებით.

თქვენი DWV.



Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - წევრები მასპინძლობენ წევრებს

2023 წლის 5 დეკემბერს DWV თავის წევრ **ზედაზენს** ეწვია.

„ქართული ლუდის კომპანია“ 2011 წელს დაარსდა. კომპანია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში მდებარეობს. ის დიდ ფართობს მოიცავს და აწარმოებს როგორც ალკოჰოლურ, ისე უალკოჰოლო პროდუქტებს.

ვიზიტის ფარგლებში, მოვინახულეთ ზედაზენის ქარხანა და ლაბორატორია. ზედაზენის წარმომადგენლებმა გაგვაცნეს წარმოების პროცესები, რომლებიც უმეტესწილად ავტომატიზირებულია; აგვიხსნეს ლუდის ხარშვის ტექნოლოგია და ცალკეული დანადგარების მუშაობის სპეციფიკა.

ექსკურსიის შემდეგ მასპინძლებმა ფურშეტზე მიგვიწვიეს, რის დროსაც ზედაზენის უგემრიელესი ლუდი და ლიმონათები დავაგემოვნეთ.

კომპანია თავისი კონცეფციით, დაგეგმარებით, საწარმოო საშუალებებითა და ტექნოლოგიებით, მენეჯმენტის სისტემებითა და სტილით შეიძლება შეფასდეს, როგორც ინოვაცია და ახალი სიტყვა უალკოჰოლო ლუდის წარმოებაში და ლუდის ინდუსტრიაში მთელ რეგიონში; კომპანია, რომლის პორტფელი მოიცავს ადგილობრივ და ლიცენზირებულ ლუდს, ენერგეტიკულ სასმელებს, წყაროს წყალს, არომატიზებულ წყალს და ყინულ ჩაის.

მადლობას ვუხდით ლუდსახარშ ზედაზენს გულთბილი მასპინძლობისთვის და საინტერესო დღისთვის!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - Expert Talk

2023 წლის 12 დეკემბერს სასტუმრო რუმს თბილისში ჩავატარეთ ღონისძიება Expert Talk გერმანიის კონსულთან.

დიდი ხნის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსული საქართველოში, ბ-ნი მაიკლ გრიმი, კვლავ ესტუმრა საქართველოს. მან მოგვითხრო საკონსულოში მისი მუშაობის შესახებ, შემდეგ კი სიამოვნებით უპასუხა სტუმრების შეკითხვებს.

აუდიტორიის შეკითხვები, ძირითადად, სავიზო საკითხებს ეხებოდა, მათ შორის, სასწავლო და სამუშაო ვიზებს და მათი მიღების პროცედურებს როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში.

ღონისძიების ბოლოს სტუმრებს ყავის მენიუზე ვუმასპინძლეთ, რა დროსაც მათ კვლავ ჰქონდათ იდეების გაცვლის და ურთიერთობების დამყარების საშუალება.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - საშობაო წვეულება

🎄 14 დეკემბერი DWV-სთვის გამორჩეულად ლამაზი დღე იყო. დამდეგი შობა-ახალი წელი ჩვენს წევრებთან და მეგობრებთან ერთად აღვნიშნეთ.

წვეულება ჩვენს ახალ წევრ სასტუმრო თბილისი ფილარმონიაში გაიმართა, სადაც სტუმრებს თბილი ატმოსფერო და გემრიელი კერძები დახვდათ.

საშობაო განწყობას ქმნიდა უგემრიელესი გლინტვეინი და ავსტრიული რეცეპტით მომზადებული ვაშლის შტრუდელი, რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა.

მადლობას ვუხდით სასტუმრო ფილარმონიას გულთბილი დახვედრისთვის და ყველა სტუმარს ამ დღის გალამაზებისთვის! 🎄

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - Get Together

🎄 2023 წლის ბოლო ტრადიციული შთამთიში DWV-მ სასტუმრო ბილტმორის ბარ „ზიმში“ აღნიშნა.

ჩვენს წევრებთან და მეგობრებთან ერთად დროის გატარება ყოველთვის სასიამოვნოა, განსაკუთრებით კი, თბილი მასპინძლების, ცხელი გლინტვეინისა და უგემრიელესი ავსტრიული ვაშლის შტრუდელის ფონზე.

განწყობას კიდევ უფრო გვიმაღლებდა ულამაზესი ხედი 30-ე სართულიდან, საიდანაც საახალწლოდ მორთული რუსთაველი ხელის გულივით ჩანს.

მადლობას ვუხდით ჩვენს ყველა წევრს და მეგობარს ამ დღის გალამაზებისთვის. მადლიერები ვართ, ასევე, თითოეული თქვენგანის თანადგომისა და შეტანილი წვლილისთვის ჩვენს განვითარებაში.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებულ და ბედნიერ 2024 წელს!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

„ელემენტ ჰოლდინგი" იწყებს თანამშრომლობას USAID-თან

„ელემენტ ჰოლდინგი" იწყებს თანამშრომლობას USAID-ის პროგრამებთან: „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" და „USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა".

შესაბამის ხელშეკრულებებს მხარეებმა ხელი 30 ნოემბერს მოაწერეს. თანამშრომლობის ფარგლებში, „ელემენტ ჰოლდინგი" პროფესიული განათლების მომზადებისა და გადამზადების ცენტრს ხსნის. პარტნიორობა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, დასაქმების ხელმისაწვდომობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პროექტი 13 ავტორიზებული პროგრამის ამოქმედებას, უცხოელი ექსპერტების ჩართულობას, სასწავლო ცენტრისთვის განკუთვნილი შენობის რეკონსტრუქციას, 300-მდე სტუდენტის მომზადება-გადამზადებასა და დასაქმებას გულისხმობს.

პროგრამების შერჩევას წინ უძღოდა „ელემენტ ჰოლდინგის" დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სექტორის მოთხოვნების კვლევა, რომლის ფარგლებში დამსაქმებლებმა მათთვის საჭირო და დეფიციტური პროფესიები დაასახელეს. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში კი, „ელემენტ ჰოლდინგი", „ინფრასტუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან" ერთად, განახორციელებს კონსტრუქტორებისა და არქიტექტორების გადამზადებას ინტენსიური ტრენინგების საშუალებით. უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადებული კადრები, თავის მხრივ, ჩაატარებენ ცნობიერების ასამაღლებელ სემინარებს დაინტერესებული მხარეებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მხარეთა მიზანია, სახელმწიფოში ახალი ევროპული სამშენებლო სტანდარტების - ევროკოდების დანერგვის პროცესის პარალელურად, მოამზადონ პროფესიული კადრები, რომლებიც ცვლილებს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეხვდებიან.

„ელემენტ ჰოლდინგი" და USAID-ი სამომავლოდაც განაგრძობენ აქტიურ თანამშრომლობას სამშენებლო სექტორისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით.

Visa-სა და თიბისის პარტნიორობით საქართველოში Visa-ს საერთაშორისო გადახდების პლატფორმა VDA დაინერგება

Visa-სა და TBC-ის პარტნიორობით საქართველოში საერთაშორისო გადახდების პლატფორმა Visa Direct to Account (VDA) დაინერგება.

თანამშრომლობის ხელშეკრულებას TBC-ის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ, და VDA-ის ცენტრალური ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (CEMEA) რეგიონის ხელმძღვანელმა, ივან პონომაროვმა, მოაწერეს ხელი.

პლატფორმის დანერგვის შემდეგ TBC-ის მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, გამარტივებულად და უფრო მოკლე დროში განახორციელონ საერთაშორისო გადახდები.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

Gvinadze & Partners
QUALITY MAKES DIFFERENCE

Hogan Lovells

British-Georgian Law Association Annual Seminar 2024

Energy and infrastructure projects in Georgia

In collaboration with Gvinadze & Partners, we are delighted to invite you to save the date for the **British-Georgian Law Association Annual Seminar** to take place on **Thursday 15 February 2024** at Hogan Lovells London office.

The seminar will focus on energy and infrastructure projects in Georgia and the region.

An invitation to the event and further details will follow in due course.

We look forward to welcoming you.

Click here to register your interest

BGLA
BRITISH-GEORGIAN LAW ASSOCIATION

Hogan Lovells is proud to partner with the British-Georgian Law Association to discuss the importance of energy and infrastructure projects in the region. For well over a decade, the BGLA seeks to connect industry professionals to promote and foster legal connections between the UK and Georgia.

Details

Date
Thursday, 15 February 2024

Time
5 p.m. - Registration
5:30 p.m. - Panel discussion
7 p.m. - Networking reception

Venue
Atlantic House
Holborn Viaduct
London EC1A 2FG
Map here

Contacts

Emily Watson
Events Adviser
events.uk@hoganlovells.com

Cait Lowe
Marketing & Business Development Adviser
cait.lowe@hoganlovells.com

Update your Preferences

hoganlovells.com

About Hogan Lovells
Hogan Lovells is an international legal practice that includes Hogan Lovells US LLP and Hogan Lovells International LLP. For more information, see http://www.hoganlovells.com/

Atlantic House, Holborn Viaduct, London EC1A 2FG, United Kingdom
Columbia Square, 555 Thirteenth Street, NW, Washington, D.C. 20004, United States of America

Lufthansa

2024 წლის მაისიდან იფრინეთ Austrian Airlines-ის პირდაპირი რეისებით ვენის მიმართულებით კვირაში 3 ჯერ. ისიამოვნეთ ჩვენი უახლესი ბორტებითა და მაღალი კლასის სერვისით. არ გამოტოვოთ შესაძლებლობა და აღმოაჩინეთ შთამბეჭდავი და მომხიბვლელი ვენა. დაჯავშნეთ ახლა და დაიწყეთ ახალი თავგადასავალი Austrian Airlines -სთან ერთად.

2024 წლის აპრილიდან Lufthansa გთავაზობთ კიდევ უფრო მეტ არჩევანს თბილისიდან მიუნჰენის მიმართულებით, კვირაში 10 ფრენით ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჰაბისკენ. იფრინეთ კომფორტულად Lufthansa-სთან ერთად საქმიანი ვიზიტით ან/და დასასვენებლად.

ჩვენი ახალი ფრენების საშუალებით გთავაზობთ მაქსიმალურად მოქნილ განრიგს. Lufthansa-ს და Austrian Airlines-ის ფრენები და ტარიფები სრულად კომბინირებადია. მოარგეთ ფრენების განრიგი თქვენს გეგმებს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

მენეჯმენტისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ ახალი ალტერნატივაა საქართველოს საგანმანათლებლო ინდუსტრიაში. დაწესებულების სახელწოდება მომდინარეობს სწავლების მიზნიდან და გრძელვადიანი ხედვიდან და გულისხმობს ხიდს განათლებიდან დასაქმებამდე და პიროვნულ ზრდას.

ალტერბრიჯის უნივერსიტეტის მისიაა, ადამიანებს მისცეს ახალი შესაძლებლობები პირადი და პროფესიული თვითრეალიზაციისთვის.

შტაინბაისის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, „ალტერბრიჯი“ გთავაზობთ ახალ გერმანულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სრულ თანხვედრაშია სამუშაო პირობებთან და ცხოვრებისეულ აქტივობებთან. პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი და სურთ, სწავლა გააგრძელონ მენეჯმენტის მიმართულებით, სტუდენტზე მორგებული, მოქნილი სასწავლო გარემოს წყალობით.

საერთაშორისო ბიზნესისა და მეწარმეობის სკოლა (SIBE) არის შტაინბაისის უნივერსიტეტის ლიდერობისა და მენეჯმენტის სკოლა, რომელიც მდებარეობს ჰერენბერგში, გერმანიაში. პროგრამა არ არის მხოლოდ ინვესტიცია თანამშრომლის მომავალში, არამედ ინვესტიცია თქვენი საკუთარი კომპანიის წარმატებაში!

ინტეგრირებული პროექტის მოდული არის შტაინბაისის ფილოსოფიის ბირთვი, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიურ და პრაქტიკულ სწავლებას, რეალური გამოცდილების შეძენით. მოსწავლეებს უვითარდებათ გადაწყვეტილებებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, რაც მათ ამზადებს მომავალი სამუშაო გარემოსთვის. სტუდენტებს ექნებათ სტაჟირების გავლის შესაძლებლობა უნივერსიტეტის კორპორატიულ პარტნიორებთან როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.
პროგრამის სასწავლო გეგმა იხილოთ აქ.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge